სიკეთისა და ბოროტების ცნებათა გაგებისათვის

მეოთხე საუკუნეში განსაკუთრებით გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მიმდინარეობის გნოსტიციზმის საპირისპიროდ, რომელიც ორი საწყისის-სიკეთისა და ბოროტების თანაარსებობას აღიარებდა, ქრისტიანული რელიგია მხოლოდ ერთი საწყისის, აბსოლუტური სიკეთის – ღმრთის არსებობას ცნობს. სწავლებამ სიკეთესა და ბოროტებაზე სისტემური ხასიათი ბასილი დიდის მოძღვრებაში შეიძინა (რა თქმა უნდა, ეს იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერებაში არსებულ თვალსაზრისს არეოპაგიტული წიგნების მე-5 საუკუნეში შექმნის შესახებ გავიზიარებთ). შესაძლებელია თუ არა აბსოლუტური სიკეთე – ღმერთი მიზეზი იყოს ბოროტებისა? რა თქმა უნდა, – არა, მაგრამ მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ბოროტებანი, რომელნიც მატერიალურ სამყაროში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე კეთილი საქმენი? ამ კითხვას ბასილი დიდის მიერ დასაბუთებული პასუხი აქვს გაცემული როგორც თხზულებაში „ექვსთა დღეთათვის“, ასევე ჰომილიაში „არა არს ღმერთი მიზეზი ბოროტთაჲ“.

დიდი კაპადოკიელი მამის განმარტებით, მოვლენები, რომელთაც ადამიანები ბოროტებად მიიჩნევენ, ორ სახედ იყოფა: ერთნი ბუნებით არიან ბოროტნი და დასაბამს ჩვენგან იღებენ, როგორც მაგალითად, უსამართლობა, უგუნურება, სიმხდალე, კაცის კვლა, შური და სხვ. ესენი ღმრთის ხატად დაბადებულ სულს შეურაცხყოფენ და მასში სიბნელეს აბატონებენ. მეორენი კი, მხოლოდ გარეგნულად ჩანან ბოროტებად, მაშინ, როცა სინამდვილეში ჩვენთვის საჭირონი და სასარგებლონი არიან, როგორიცაა, მაგალითად, ხორციელი სნეულება, უპატიობა, ახლობელთა დაკარგვა და სხვ. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყოველივე ეს უფლისაგან მისსავე სასიკეთოდ ეგზავნება: სიმდიდრე იმას წაერთმევა, ვინც მას ბოროტად იყენებს, სნეულება იმას შეეყრება, ვისაც სხეულის სიძლიერე უკეთურ საქმეთა ჩადენაში უწყობს ხელს, რათა ცოდვებისათვის დაუძლურდეს და ა. შ. ღმერთი ამ დროს ჩვენი სულის მკურნალია და მცირე სატანჯველთ მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად განგვაცდევინებს, მსგავსად დახელოვნებული ექიმებისა, რომლებიც ჩვენი სხეულის დასნეულებულ ნაწილთა გასაჯანსაღებლად ხშირად ტკივილის მოყენებასაც არ ერიდებიან.

ბასილი დიდის სწავლებით, ჭეშმარიტი ბოროტება ცოდვაა, რომლის მიზეზიც ჩვენ ვართ, რადგან იგი ჩვენი ნებისა და განზრახვისაგან მოდის და ჩვენვე აღვასრულებთ: „ჭეშმარიტი იგი ბოროტი, რომელ არს ცოდვაჲ, რომელი უფროჲს ყოველსა ღირს არს ამას სახელსა ბოროტისასა, იგი ჩუენისა ნებისაგან არს და განზრახვისა“.[1] ხოლო თუ მიზეზი ბოროტებისა (რომელიც იგივე ცოდვაა) ჩვენ ვართ, მაშინ, ასკვნის იგი, ბოროტებას არც თავისთავადი არსი აქვს და არც ბუნება, არამედ მას სიკეთის მოკლება შობს. ღმრთისმეტყველების მნათობმა ბოროტების კლასიკური განმარტება მოგვცა: **დაკლებაჲ კეთილისაჲ არს ბოროტი.**[2] ამ განმარტებისათვის სიცხადის მისანიჭებლად მას თვალის მაგალითი მოაქვს: თვალი დაბადებულია, ხოლო სიბრმავე – არა, იგი მისი ნაკლია, რომელიც

---

[1] ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთჳმე ათონისეული თარგმანი, თბ., 1983, გვ. 60.

[2] იქვე, გვ. 63.

მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ თვალი ხრწნადია; ასევეა ბოროტებაც, რომელსაც თავისი არსი არა აქვს, არამედ „დაბრმობითა სულისათა იქმნების“.[3]

ხორცი და სული ღმერთმა დაბადა, მაგრამ ცოდვა, რომელიც სულის სნეულება და ბოროტებაა – არა. იგი სულის ბუნებითი მდგომარეობიდან გადახრის შედეგად წარმოიშვა, რის გამოც უნდა დავასკვნათ, რომ ცოდვა და ბოროტება ადამიანის ბუნებით მდგომარეობას არ წარმოადგენს.

ხშირად ასეთ კითხვასაც სვამენ: რატომ მისცა უფლება ღმერთმა პირველ ადამიანებს ცოდვის ჩადენისა? ამ დროს ავიწყდებათ, რომ, როგორც ეს ღმრთის ხატად შექმნილ არსებას შვენის, იგი ყოველგვარი იძულებისაგან თავისუფალია და მისი ხვედრი მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, რომელიც ღმერთმა უბოძა.

ადამმა ნებსით ჩაიდინა ცოდვა და ცოდვისა გამო მოკვდა, რადგან **ცოდვისაჲ არს სიკუდილი** (რომ. 6,28). ცოდვამ იგი ღმერთს ანუ ცხოვრებას განაშორა, რასაც, ბუნებრივია, შედეგად სიკვდილი მოჰყვა. მაშასადამე, ასკვნის ბასილი დიდი, ღმერთს არც სიკვდილი შეუქმნია, არამედ იგი თავს ჩვენი უკეთური ნებითა და განზრახვით დავიტეხეთ.

სწავლება ბოროტებაზე, როგორც არაარსზე, კიდევ უფრო ნათლადაა გადმოცემული „ექვსთა დღეთაში“. როგორც ცნობილია, სამყაროს წარმოშობაზე დუალისტური თეორიის მიმდევრებმა საკამათოდ აქციეს „დაბადების“ („შესაქმის“) პირველი თავის მეორე მუხლი: **ბნელი იყო უფსკრულსა ზედა.** მათი აზრით, ბნელი იგივე ბოროტებაა, რომელსაც დასაბამი თავისთავში აქვს, რადგან იგი ხილული სამყაროს შექმნამდე არსებობდა და ღმრთის სახიერებას უპირისპირდება. ბასილი დიდის განმარტებით კი, დამოუკიდებელი არსებობა არც შესაქმის დასაწყისში ნახსენებ ბნელს აქვს. მისი აზრით, „იგი (ე. ი. ბნელი – გ. კ.) მდგომარეობაა ჰაერისა, ნათლის მოკლებით გამოწვეული“.[4] ნათელი კი უფალმა დასჯილი ანგელოზებს მოაკლო, როცა მათი სამყოფელი იძულებით უნათლოდ დატოვა. მსგავსად ბიბლიაში ნახსენები ბნელისა, ბოროტებაც არა დამოუკიდებელი არსი, „არამედ მდგომარეობაა სულისა, რომელიც სათნოების საპირისპიროა და გულგრილთა შორის სიკეთის ნაკლებობის გამო წარმოიშობა“.[5]

ხილულსა და უხილავ სამყაროსაც ერთი შემოქმედი ჰყავს – ღმერთი, რომელიც უზენაესი სიკეთეა. მაშასადამე, როგორც ადამიანის, ასევე სამყაროს ბუნებითი მდგომარეობა არა ბოროტება, არამედ სიკეთეა.

---

[3] იქვე, გვ. 64.

[4] ბასილი დიდის თხზულებანი, გვ. 224.

[5] იქვე, გვ. 223.